2016 წლის თებერვლის დასაწყისში იგეგმება სასწავლო ვიზიტი ლიტვაში. ვიზიტი ორგანიზებულია მაღალპროფილური დიასპორის ჩართულობის პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ ICMPD/ENIGMMA და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასა და საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით.

ვიზიტისას დიასპორის ოფისის წარმომადგენლებს, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, საშუალება ექნებათ, შეხვდნენ ამ საკითხებზე მომუშავე ლიტვის წამყვანი ორგანიზაციის - „ლიტვის გლობალური ლიდერების“ (GLL) - წევრებს, რათა გაიზიარონ მათი გამოცდილება დიასპორის ჩართვის გზამკვლევის შექმნის შესახებ.

„ლიტვის გლობალური ლიდერებს“ მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს დიასპორის დაჯილდოების ცერემონიალისა და მაღალპროფილური

დიასპორის პროგრამის მსგავს ღონისძიებათა ორგანიზებაში. ამ კუთხით, გაიმართება სამუშაო ჯგუფის დამატებითი შეხვედრა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კონკრეტულ ღონისძიებათა დაგეგმვისა და ჩატარებისათვის.

საქართველოს დელეგაციას ასევე შესაძლებლობა ექნება, შეხვდეს ლიტვის სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებს, რომლებიც მუშაობენ დიასპორისა და მიგრაციის საკითხებზე და გაუცვალოს გამოცდილება და მოსაზრებები.

ვინ ვინ არის? პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

ეს აპარატი (PDPI აპარატი) 2013 წელს ჩამოყალიბდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. ინსპექტორი აკონტროლებს და ზედამხედველობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას და ამ მონაცემთა განკარგვის ლეგიტიმურობას. ინსპექტორის ძირითადი მიზანია პერსონალურ მონაცემთა და კონფიდენციალობის უფლების დაცვა ქვეყანაში. ICMPD/ENIGMMA-ს მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობა ქმნის მიგრაციის ერთიან ანალიტიკურ სისტემას (UMAS). PDPI აპარატის ინიციატივით უკვე შემოთავაზებულია შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. ეს აპარატი მიგრაციის მონაცემთა მართვის სამუშაო ჯგუფის აქტიური წევრია და უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპების გათვალისწინებას UMAS-ისა და მისი შემდგომი ეტაპის შექმნის პროცესში.

საკონტაქტო ინფორმაცია


ქ-ნი ვიოლეტა ვაგნერი, ICMPD-ის პროექტის მენეჯერი.
violeta.wagner@icmpd.org

ბ-ნი ზურაბ ყორღანაშვილი, ICMPD-ის ეროვნული პროექტის მენეჯერი.
zurab.korganashvili@icmpd.org

www.enigmma.ge
www.icmpd.org

მარჯანიშვილის ქ. # 6, პირველი სართული, 0102, თბილისი, საქართველო.

გთხოვთ, თქვენი მოსაზრებები და კომენტარები გაუგზავნოთ ქ-ნ ნათია მეჩითიშვილს, ელექტრონულ მისამართზე
natia.mechitishvili@icmpd.org ან enigmma@icmpd.org.



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



ყურადღებას ამახვილებს ლეგალურ და არალეგალურ მიგრაციაზე, თავშესაფარზე, ინტეგრაციასა და რეინტეგრაციაზე, მიგრაციასა და განვითარებაზე, მისი მართვის გაუმჯობესებაზე, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე. შეხვედრისას წარმოადგინეს და განიხილეს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა პარტნიორების კომენტარები და რეკომენდაციები. მიგრაციის სტრატეგია შეიმუშავა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ და 2015 წლის 11 დეკემბერს ოფიციალურად დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. მიგრაციის სტრატეგია და მიგრაციის პროფილი ხელმისაწვდომი იქნება მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ვებგვერდზე 2015 წლის ბოლოსათვის.

საინფორმაციო კამპანია

2015 წელს პროექტმა ICMPD/ENIGMMA-მ საქართველოს მოსახლეობისათვის ფართო საინფორმაციო კამპანია დაიწყო, რომელიც მიგრაციასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს მოიცავდა. ეს კამპანია თბილისსა და ქუთაისში განხორციელდა. ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებზე აგებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით ამაღლდა მოსახლეობის ცნობიერება ვიზალიზირების სამოქმედო გეგმის, მოქალაქეთა მობილობის, უვიზო მიმოსვლის, სავიზო დიალოგისა და სხვა საკითხების შესახებ. ეს ღონისძიებები იყო:



ფოტოკონკურსი, გამიზნული საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, თემაზე „რას ნიშნავს ჩემთვის ევროპასთან უვიზო რეჟიმი?“, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და

იმერეთის რეგიონის თანამშრომელთათვის **ტრენინგის ორგანიზება მიგრაციის** შესახებ. ის აპრილის ბოლოს ჩატარდა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და ევროკავშირისა და ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით. ქართველი ფოტოგრაფების შერჩეულ ნამუშევართა **ფოტოგამოფენა** კი გაიმართა კამპანიის სხვადასხვა ადგილას, თბილისსა და ქუთაისში. ფოტოების თემები გახლდათ ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები და მიგრაცია. ამ ღონისძიებათა შორის იყო ENIGMMA-ს საერთაშორისო კონფერენცია „ვიზალიზირების სამოქმედო გეგმის განხორციელების მიღწევები საქართველოში“. ევროკავშირისა და საქართველოს ექსპერტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები აღმოსავლეთ პარტნიორობის, საქართველოში ვიზალიზირების სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და სხვა თემების შესახებ, რასაც მოჰყვა საქართველოს მოლოდინების განხილვა რიგის სამიტთან მიმართებით. და ბოლოს, გაიმართა დასკვნითი საინფორმაციო ღონისძიება, რომლის დროსაც ჩატარდა მუსიკალური წარმოდგენები, 2015 წლის ENIGMMA-ს ფოტოკონკურსის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ფოტოების გამოფენა, გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი, ცოცხალი კონცერტი, სპორტული თამაშები, თოჯინების თეატრის წარმოდგენა, სხვადასხვა თამაში მიგრაციის, მობილობისა და ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობათა შესახებ და სხვა გასართობი ღონისძიებები.



კამპანიამ საშუალება მისცა მიგრაციის საკითხებზე მომუშავე და დაინტერესებულ პირებს, მიეღოთ და გაეცვალათ ინფორმაცია თავიანთი აქტივობების შესახებ. ასევე შესაძლებელი გახდა სტუდენტების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ერთად შეკრება. მათ არა მხოლოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია მიიღეს მიგრაციის საკითხებზე, არამედ მოიპოვეს ინფორმაციის წყაროებიც, რომელთაგანაც მომავალშიც შესაძლებელია დაინტერესების შემთხვევაში. ICMPD/ENIGMMA შემდგომშიც გეგმავს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.



ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

2015 წელს ICMPD-ის პროექტმა ENIGMMA-მ აქტიური როლი შეასრულა ქვეყანაში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ღონისძიებათა გატარებაში. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს პროექტებსა და ინიციატივებს აღნიშნულ სფეროში მომუშავე ბევრი ორგანიზაცია ახორციელებს, ამ ეტაპამდე არ არსებობდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მოქმედი ორგანიზაციების ერთიანი სია. ENIGMMA-მ ჩაატარა გასაუბრებები ყველა დაინტერესებულ მხარესთან და, გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, შეიმუშავა „საქართველოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ნუსხას“. ნუსხა წარმოდგენილი იყო ევროკავშირის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის დღის მე-9 წლისთავთან დაკავშირებით. ღონისძიება ჩატარდა პროექტ ENIGMMA-ს ორგანიზებით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საბჭოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით. თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ICMPD-მ დაიწყო რეგულარული მრგვალი მაგიდის/დისკუსიების გამართვა ყველა აქტორისათვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მხარდაჭერა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალშექმნილი მიგრაციის დეპარტამენტის (სტრუქტურა, რომელმაც შემოდგომაზე დაარსების წლისთავი აღნიშნა) პრიორიტეტთაგანია არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურაში მიგრანტების უფლებათა დაცვა. ის ერთ-ერთია იმ რამდენიმე ევროპული ქვეყნის მსგავს სტრუქტურას შორის, რომელიც მოქმედებს, როგორც დაკავებული არალეგალური მიგრანტების უფლებათა დაცვის შიდა მონიტორინგისა და კონტროლის ორგანო. ამიტომ მიგრაციის დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დარღვევების პრევენცია. ამგვარად, მიგრაციის დეპარტამენტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პროცედურების ფარგლებში შეიქმნას და დაინერგოს ადამიანის უფლებათა ეფექტური მონიტორინგის სისტემა არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებით. ამიტომ პროექტმა ENIGMMA-მ, ადამიანის უფლებათა ლუდვიგ ბოლცმანის უნივერსიტეტის ექსპერტებთან ერთად, შეიმუშავა დოკუმენტი ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმზე (HRMM), რომელიც დეპარტამენტმა მიიღო და დაამტკიცა 2015 წლის სექტემბერში. დოკუმენტის მიზანია, შეფასდეს საერთო ვითარება მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრებში (TAC) არალეგალურ მიგრანტთა უფლებების შესახებ; და არსებობდეს დაკავებულთა და თანამშრომელთა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საჩივრებისა და თხოვნების მიღების, გამოძიებისა და განკარგვის შიდა მექანიზმი. ამ დოკუმენტში მოყვანილი რეკომენდაციები მიგრაციის დეპარტამენტის შემდგომი დაკვირვებისა და მუშაობის ალტერნატივებია, რათა სრულად იყოს დაცული მიგრანტთა უფლებები დროებითი განთავსების ცენტრებში.





კვლევითი მეთოდები, მიგრაციისა და განვითარებას შორის კავშირები, მიგრაცია და ეკონომიკა, ემიგრაციისა და იმიგრაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, მიგრაციის ისტორია და განვითარება, ასევე, ფულადი გზავნილები, იძულებითი

მიგრაცია, მიგრაციის ფემინიზაცია და მიგრაციის ზოგადი ნაკადები.

თავშესაფრის შესახებ თანამშრომლობის ჩამოყალიბების მხარდაჭერა - თანამშრომლობის ხელშეკრულება ACCORD-სა და ლიტვასთან

თავშესაფრის სფეროში ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვიზალიზებულიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) განხორციელებასთან დაკავშირებით, კომისიის 2015 წლის 8 მაისით დათარიღებული მესამე ანგარიშის რეკომენდაციათა გათვალისწინებით, პროექტი ENIGMMA დაეხმარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქართველოში თავშესაფრის პროცედურათა შემდგომი განვითარების მხრივ უნარ-ჩვევების გაძლიერებაში - კერძოდ, კვლევის, დოკუმენტირებისა თუ თავშესაფრის მამიებელთა წარმოშობის ქვეყნებზე ინფორმაციის გამოყენების კუთხით. ამ მიზნით, პროექტმა ICMPD/ENIGMMA-მ ავსტრიის წითელი ჯვრის ცენტრთან (ACCORD) დაიწყო მოლაპარაკება წარმოშობის ქვეყნის, თავშესაფრის ძიებისა და დოკუმენტირების შესახებ, რაზეც მოგვიანებით, 2015 წლის ოქტომბერში, ხელშეკრულება გაფორმდა ACCORD-სა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შორის. ხელშეკრულების თანახმად, ACCORD უპასუხებს, დაახლოებით, 15-მდე ინფორმაციის მოთხოვნას წელიწადში, რომლებსაც წარუდგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო თავშესაფრის მამიებლის წარმოშობის ქვეყანაზე კონკრეტულ მონაცემთა შესახებ. ამასთანავე, ACCORD საქართველოს წარმოშობის ქვეყნების მამიებლებს მიაწოდებს რეკომენდაციას თავშესაფრის საკითხებთან მიმართებით ქართველი მუშაკების მოთხოვნებზე და ACCORD-ის მიერ ამ მოთხოვნათა საპასუხოდ გამოყენებულ კვლევით მეთოდებზე.

ამას გარდა, პროექტმა ENIGMMA-მ ხელი შეუწყო აღნიშნული სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის თანამშრომლობას ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ მიგრაციის დეპარტამენტთან, კერძოდ, მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების წერილის გაფორმებით 2015 წლის სექტემბერში. ამ თანამშრომლობის მიზანია წარმოშობის ქვეყნის შესახებ მონაცემთა შეგროვების, განკარგვისა და გაცვლის ხელშეწყობა, როგორც ორივე სახელმწიფოს კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად.

ENIGMMA-ს ფარგლებში, პროექტის - „ტრენინგებისა და ანალიტიკური უნარების ჩამოყალიბება მიგრაციის შესახებ მოლდოვეთსა და საქართველოში“ (2013 წელს ICMPD-ს მიერ განხორციელებული პროექტი GOVAC) - შედეგებზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდა სტანდარტული ეროვნული სტრუქტურული პროგრამა, „საერთაშორისო დაცვის შესავალი კურსი“, ქართველ, მოლდოველ, დანიელ და ICMPD-ს ექსპერტთა მჭიდრო თანამშრომლობით. სახელმძღვანელო შექმნილია იმისათვის, რომ დაეხმაროს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მენეჯმენტს ტრენინგების ორგანიზებასა და დანერგვაში თავისი ახალდასაქმებულისა და მოხელეებისათვის, ასევე, საქართველოში დაცვის რეფერალურ მექანიზმებში ჩართული სხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისათვის, საერთაშორისო დაცვისა და თავშესაფრის საკითხებზე.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დახმარება

დიასპორის წარმომადგენელთა დასაკავშირებლად წარმოშობის ქვეყანასთან მნიშვნელოვანია შესაბამისი ენის გამოყენება. ამგვარად, ICMPD/ENIGMMA-მ ხელი შეუწყო დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, ჩამოეყალიბებინა ონლაინ სკოლა საზღვარგარეთ მყოფ დიასპორის წარმომადგენელთა კავშირის განსამტკიცებლად საქართველოსთან და დიასპორის ახალგაზრდა თაობის მოსაზიდად. ამ კუთხით, ENIGMMA-მ მოკლე ვადით ეროვნული ექსპერტი აიყვანა ონლაინ სკოლისათვის დისტანციური ლექციების შინაარსისა და კურიკულუმის ჩამოსაყალიბებლად და ყველა საჭირო მექანიზმის (აპლიკაციები, ვიზუალური მასალები, აუდიო/ვიდეო მასალები) შესაქმნელად. ქართული ენისა და ისტორიის გაკვეთილების შინაარსი შედგენილია და 2016 წლის შუა პერიოდიდან საზოგადოებას წვდომა ექნება დისტანციური სწავლების კურსებზე.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2015 წლის 26 ოქტომბერს ICMPD/ENIGMMA-მ და აღნიშნულმა აპარატმა ოფიციალურად დაამტკიცეს „საქართველოს



მაღალპროფილური დიასპორის ჩართულობის პროგრამა“. მისი ძირითადი მიზანია მაღალპროფილური დიასპორის წევრთა მონაწილეობის გაზრდა საქართველოს განვითარების პროცესებში. ამის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა სფეროს პროფესიონალთა კავშირის შექმნით, პილოტური ღონისძიებების განხორციელებით, ქართული დიასპორის წარმოსადგენი წევრების მიღწევათა აღიარებით და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ღონისძიებათა ორგანიზებით. ეს პროგრამა ასევე მიზნად ისახავს მაღალი პროფილის მიგრანტებზე მონაცემთა შეგროვებასა და სტრუქტურირებას. პროგრამას განახორციელებს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოსა და ქვეყნის სხვა საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობით და პროექტ ICMPD/ENIGMMA-ს მხარდაჭერით.

მიგრაციის სტრატეგია და მიგრაციის პროფილი

საქართველოში მთავრობის მხრიდან მიგრაციის სფეროს კვლევისა და მენეჯმენტის ხელშეწყობად, ICMPD/ENIGMMA ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებებს სთავაზობს ანალიტიკური შესაძლებლობის განვითარებაში დახმარებას, კერძოდ, საპილოტე ანალიტიკური დეპარტამენტის მეშვეობით, რომელიც მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში დაარსდა. ასევე, ორგანიზაცია ხელს უწყობს სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას, როგორცაა მიგრაციის საკითხებზე ბიბლიოთეკის ჩამოყალიბება, სტაჟირებები ქართველი მკვლევარებისათვის, ექსპერტებით დახმარება და სხვა. ICMPD/ENIGMMA-ს მხარდაჭერით საქართველოში შეიქმნა პოლიტიკის ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია და მიგრაციის პროფილი. ორივე დოკუმენტი მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ წარმოადგინა 2015 წლის 14 დეკემბერს.

საქართველოს მიგრაციის პროფილი აღწერს მიგრაციის ამჟამინდელ მდგომარეობას საქართველოში და ყურადღებას ამახვილებს მის ძირითად თემებზე, როგორცაა: ემიგრაცია და იმიგრაცია, დაბრუნება და შიდა მიგრაცია, ინტეგრაცია, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), მიგრაციის გავლენა დემოგრაფიაზე, ეკონომიკა და განვითარება და მიგრაციის მართვა. დოკუმენტი ორ წელიწადში ერთხელ განახლდება, რათა სათანადოდ ასახოს მიგრაციის სფეროს ბოლოდროინდელი განვითარება საქართველოში.

2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია მოიცავს მიგრაციის მართვის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და მიზნებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს მთავრობამ. დოკუმენტი



ინტერვიუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან, ქ-ნ თამარ ქალდანთან

დასაწყისი იხილეთ პირველ გვერდზე

ENIGMMA: როგორი მდგომარეობაა ამჟამად საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით?

თამარ ქალდანი: საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მიღებულია 2011 წლის დასასრულს. შესაბამისად, ეს ჯერ კიდევ ახალი საკანონმდებლო სფეროა. კონფიდენციალობის დაცვის პრაქტიკა, რაც განგრძობითი პროცესია, ერთ-ერთია იმ გამოწვევებს შორის, რომლებიც ჯერჯერობით ისევ არსებობს ჩვენ წინაშე. ამასთანავე, საზოგადოების ცნობიერება კონფიდენციალობასთან მიმართებით კვლავ დაბალია. მონაცემთა სხვადასხვა მაკონტროლებლის შიდა რეგულაციები კიდევ არ შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო ორი წლის განმავლობაში და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას მიაღწია. საგულისხმო ნაბიჯები გადაიდგა შესაბამისი ღირებულებებისა და პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად, რამაც დიდი წვლილი შეიტანა მონაცემთა დაცვის მართვაში 2013 წლიდან, როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი შეიქმნა. დღეს მონაცემთა მაკონტროლებლები უკეთ იცნობენ საკუთარ მოვალეობებს. ზოგიერთ საჯარო დაწესებულებას გამოყოფილი ჰყავს პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მონაცემების მართვაზე თავიანთ ორგანიზაციებში, ნაწილს კი მიღებული აქვს შიდა რეგულაციებიც. პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა განმკარგავ კერძო კომპანიებს ასევე ჩამოყალიბებული აქვთ უარის თქმის მექანიზმები. ბოლოს კი შეგვიძლია დავძინოთ, რომ არსებული გამოწვევების მიუხედავად, ამ სფეროში გატარებული რეფორმები ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

ENIGMMA: ვინ აგროვებს საქართველოში მონაცემებს მიგრანტებზე, ან ვინ აკონტროლებს მათ შესახებ მონაცემთა მართვის პროცედურას? არის თუ არა მიგრანტთა კატეგორია მეტად მოწყვლადი ჯგუფი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით?

თამარ ქალდანი: თითოეული პირის პერსონალური მონაცემები მნიშვნელოვანია და მათ ფრთხილად უნდა მოვეპყრათ, განსაკუთრებით ისეთ მოწყვლად ჯგუფთან მიმართებით, როგორიცაა მიგრანტები. მისი მოწყვლადობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, მაგალითად, განსხვავება მათ ეროვნებასა და საქმიანობაში. მნიშვნელოვანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამ ადამიანთა მონაცემების სხვა ქვეყნებისათვის გადაცემისას (და წარმოშობის ქვეყანაშიც კი). მიგრანტების პერსონალურ მონაცემებს აგროვებს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურა, როგორიცაა შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროები, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და სხვა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი ზედამხედველობს ყველა ზემოხსენებული დაწესებულების მიერ მონაცემთა მართვის ლეგიტიმურობას, მათ შორის, მიგრანტების პერსონალურ მონაცემთა კუთხით.

ENIGMMA: კონკრეტულად რას აკეთებს ეს აპარატი მიგრანტების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით?

თამარ ქალდანი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მონიტორინგს უწევს მონაცემთა მართვას თითქმის ყველა კერძო და საჯარო დაწესებულების მიერ და უზრუნველყოფს თითოეული ინდივიდის პერსონალური მონაცემების დაცვას, მისი მოქალაქეობის, სტატუსისა და ნებისმიერი სხვა მახასიათებლის მიუხედავად. 2014 წელს განხილული იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე სხვა ორგანიზაციების წვდომის საკითხი. ამავე წელს ასევე გამოვიკვლიეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მონაცემთა მართვის ლეგიტიმურობა საზღვრის კონტროლის მიზნით. შესაბამის ინსტიტუტებთან კონსულტაციები გავიარეთ პერსონალურ მონაცემთა მართვის საკითხებზე საზღვრის გადაკვეთისას და არაერთი ტრენინგი ჩავუტარეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტაციო დეპარტამენტის თანამშრომლებს. ყველა ეს ღონისძიება განხორციელდა იმისათვის, რომ ამ ადამიანებს ინფორმაცია მიეღოთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პერსონალური მონაცემების - მათ შორის, მიგრანტთა მონაცემების - მართვა. საჯარო დაწესებულებებს კონსულტაციები გავუწიეთ საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეების პერსონალურ მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გაცვლის კანონიერებაზე.

ENIGMMA 2015 წელს - ძირითადი მიღწევები

ENIGMMA-ს საზაფხულო სკოლა 2015



2015 წლის ივნის-ივლისში ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლები შეიკრიბნენ ყვარელში, რათა მიგრაციის სპეციალისტთა ახალი თაობისათვის ტრენინგები ჩატარებინათ მიგრაციის მართვის შესახებ. საზაფხულო სკოლის

მიზანი იყო საქართველოს განვითარების გეგმების ხელშეწყობა, განსაკუთრებით მიგრაციის მართვისა და კვლევის სფეროში.

დიდი ბრიტანეთის ოქსფორდის უნივერსიტეტის, ჰოლანდიაში მაასტრიხტის მმართველობის მაგისტრატურის სკოლის, ავსტრიის ადამიანის უფლებათა ლუდვიგ ბოლცმანის ინსტიტუტის, საფრანგეთის სორბონის უნივერსიტეტის, აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებმა თეორიული და პრაქტიკული ვორქშოპები ჩაატარეს ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტთა ახალგაზრდებისათვის, ქართველი სტუდენტებისთვის ავსტრიიდან, საბერძნეთიდან, ფინეთიდან, ნორვეგიიდან და აშშ-დან, ასევე, ახალგაზრდა პროფესიონალებისათვის, რომლებიც კარიერას იწყებენ სახელმწიფო სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო მიგრაციასთან დაკავშირებულ სფეროებში. ვორქშოპები და ლექციები ჩატარდა ადამიანის უფლებებზე, მიგრაციისა და განვითარების კავშირზე, ასევე, მედიისა და მიგრაციის, მიგრაციის ეკონომიკის, სოციალური მეცნიერებებისა და მიგრაციის კვლევითი მეთოდების შესახებ.

ქ-ნი ვიოლეტა ვაგნერის, ICMPD-ის პროექტის მენეჯერის თქმით: „**რაც უფრო უკეთ მართავს საქართველო იმიგრაციასა და ემიგრაციას, მით უკეთ შეძლებს სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობას, როგორც ევროკავშირის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ეს კი თავისთავად სარგებელს მოუტანს ყველა ქართველს.**“



დოქტორმა მელისა სიგალმა, მაასტრიხტის მმართველობის მაგისტრატურის სკოლის მიგრაციის მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსმა, განაცხადა, რომ „**საქართველოს განვითარებისა და ევროკავშირთან ურთიერთობისათვის მნიშვნელოვანია მიგრაციის საკითხთა ეფექტიანი მართვა. საზაფხულო სკოლამ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი რესურსი შექმნა - მიგრაციის მომავალ სპეციალისტთა ძირითადი ჯგუფი, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის წინსვლას.**“

მიგრაციის სფეროში უნივერსიტეტთა დასახმარებლად, პროექტმა ENIGMMA-მ 2015 წლის შემოდგომასა და ზამთარში ორგანიზება გაუკეთა მიგრაციის საკითხთა სწავლების კვირეულს, რომლის განმავლობაშიც მაასტრიხტის, კემბრიჯისა და სორბონის უნივერსიტეტთა პრფესორებმა ლექციები და სემინარები წაიკითხეს. ამ კვირეულის ფარგლებში განიხილეს სხვადასხვა საკითხი, როგორიცაა სოციალური მეცნიერებათა



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



აქ წარმოდგენილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს

კომისია საბოლოო ანგარიშის გამოცემისას დაეყრდნო მიმდინარე მონიტორინგის შედეგებსა და 2012 წლის ივნისში საქართველო-ევროკავშირის შორის ვიზალიბერალიზაციაზე დიალოგის დაწყების ანგარიშს. საბოლოო ანგარიში ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა:

- დოკუმენტების უსაფრთხოება, მათ შორის, ბიომეტრიული საბუთები;
- საზღვრის ინტეგრირებული მართვა, მიგრაციის მართვა და თავშესაფარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; და
- საგარეო ურთიერთობები და ფუნდამენტური უფლებები.

ქვეყნის კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ადეკვატური რეფორმები უნდა გაეტარებინა ოთხივე მიმართულებით. პროექტი ICMPD/ENIGMMA, სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებით, აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს მთავრობას ყველა ნიშნულის მიღწევაში. კერძოდ, მოხერხდა:

- საინფორმაციო კამპანიების ორგანიზება და ჩატარება, ვიზალიბერალიზაციის შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირების მიზნით საინფორმაციო მასალების მომზადება და დაბეჭდვა, ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა და არალეგალური მიგრაციის - მათ შორის, ადამიანით ვაჭრობის - პრევენცია;
- მიგრაციის სტრატეგიისა და მიგრაციის პროფილის შექმნაში მხარდაჭერა, რაც მოხერხდა პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში, შესაბამის სამინისტროთა აქტიური მონაწილეობით ჩამოყალიბებული მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის საპილოტე ანალიტიკური განყოფილების დახმარებით; ENIGMMA-მ თავისი წვლილი შეიტანა სტრატეგიის დოკუმენტის შექმნაში - კერძოდ, ანგარიშების მომზადებით „მიგრაციის მდგომარეობის შესახებ“ და „ევროპის კონკრეტულ ქვეყნებში მიგრაციის ეროვნული სტრატეგიის ჩამოყალიბების პრაქტიკაზე“;
- შესაძლებლობების გაზრდა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების კუთხით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მხარდაჭერა), ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხები, არალეგალურად მყოფ მიგრანტთა უფლებების დაცვა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერა), პერსონალურ მონაცემთა დაცვა მიგრაციის მართვის სფეროში და სხვა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის წესებსა და რეგულაციებზე გზამკვლევი შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისათვის. გზამკვლევი ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx>

საბოლოო ანგარიში ხელმისაწვდომია:

<http://ec.europa.eu/transparency/regdoc/rep/1/2015/EN/1-2015-684-EN-F1-1.PDF>

საქართველოში მიგრაციის მართვის სიახლეები

შრომითი მიგრაციის კანონი

საქართველოს მთავრობამ 2015 წელს მიიღო კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ. კანონპროექტის მიზანია ეფექტური მექანიზმების შექმნა საქართველოში შრომითი მიგრაციის რეგულირებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ლეგალური შრომითი მიგრაციის ჩამოყალიბებას და გამორიცხავს არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის შემთხვევებს. მეტიც, ეს პროცესი ასევე შეუწყობს ხელს ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით აღებულ ვალდებულებათა შესრულებასა და შრომითი მიგრაციის პროცესების რეგულაციას საქართველოში. კანონპროექტი არეგულირებს შემდეგი პირების შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებას: საქართველოს მოქალაქეები; ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელები; და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც ლეგალური სტატუსი აქვთ საქართველოში; ასევე იცავს იმ უცხოელთა უფლებებსა და ინტერესებს, რომელთაც არა აქვთ მუდმივი ბინადრობის ნებართვა საქართველოში და ეწევიან ანაზღაურებად შრომით საქმიანობას.

მიგრაციის სტრატეგია

2015 წლის 11 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია დაამტკიცა. ამ დოკუმენტის მიზანია, 2020 წლისათვის შეიქმნას მიგრაციის პოლიტიკის საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ასპექტები, რის შედეგადაც საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროპას. მეტიც, იგი ხელს შეუწყობს დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციას და გააძლიერებს მიგრაციის დადებით გავლენას ქვეყნის ეკონომიკასა და დემოგრაფიაზე. სტრატეგიის ძირითადი მიზანია, საქართველოში მიგრაციის მართვა გახდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ამიტომაც ICMPD/ENIGMMA, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს მთავრობას დოკუმენტის შექმნის პროცესში - კერძოდ, ექსპერტული ცოდნის მიწოდებით, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით, უნივერსიტეტებისათვის დახმარების გაწევით და სხვა საქმიანობებით.

მიგრაციის პროფილი

2015 წლის 30 ნოემბერს მიღებული იქნა მიგრაციის პროფილი 2015 წლისათვის. ქვეყნის მიგრაციის პროფილი ანალიტიკური და ინფორმაციული დოკუმენტია, რომელიც მოიცავს კომპლექსურ ინფორმაციას - წლების მიხედვით - ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებზე მიგრაციასთან დაკავშირებით. ამგვარი პროფილი პერიოდულად განახლებადია.

წინამორბედებისაგან განსხვავებით, 2015 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილი წარმოადგენს ახალ, დოკუმენტის ე.წ. შუალედურ ვერსიას, რომელიც მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ახლებურ მეთოდოლოგიას ეფუძნება. დოკუმენტს აქვს ასევე მომხმარებელზე ორიენტირებული ახალი ფორმატი და მიზნად ისახავს, მას მარტივი ენით მიაწოდოს ინფორმაცია მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2015 წლის მიგრაციის პროფილი, ევროკავშირის დაფინანსებითა და ICMPD-ის მხარდაჭერით, მოამზადა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა.

ელექტრონული ვიზის პორტალი

2015 წლის დასაწყისიდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ელექტრონული ვიზის პორტალი შექმნა, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც საქართველოში მოკლევადიანი ვიზიტით ჩამოსვლას გეგმავს, შეუძლია, საქართველოს საელჩოში გასაუბრების დანიშვნის გარეშე, სავიზო განაცხადი ონლაინ რეჟიმში წარადგინოს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ: www.evisa.gov.ge



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



მიგრაციის საკითხებზე საინფორმაციო ბიულეტენი # 7

სპეციალური გამოშვება: საქართველოსა და ICMPD/ENIGMMA-ს შორის თანამშრომლობა 2015 წელს

ძვირფასო მკითხველო!



მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) პროექტს, ENIGMMA-ს, პატივი აქვს, წარმოგიდგინოთ მიგრაციის საინფორმაციო ბიულეტენის რიგით მეშვიდე სპეციალური გამოშვება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას 2015 წელს საქართველოსა და ICMPD/ENIGMMA-ს შორის თანამშრომლობის შესახებ. ჩვეულებრივ, მიგრაციის საინფორმაციო ბიულეტენის ეს სერიაც ჩვენს მკითხველებს სთავაზობს საქართველოში მიგრაციის მართვის სფეროში არსებულ ინფორმაციას და საქართველო-ევროკავშირის ბოლოდროინდელ ურთიერთობათა განვითარების მონახაზს.

ამასთანავე, გამოცემაში განხილულია 2016 წლის დასაწყისში განსახორციელებელი საქმიანობები. გთავაზობთ ინტერვიუს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან, ქ-ნ თამარ ქალდანთან, რომელიც საუბრობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საჭიროებასა და ამ მხრივ არსებულ მდგომარეობაზე, კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მიგრაციის მართვის სფეროში.

გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი შეფასება და კომენტარები - მათ შორის, შემოთავაზებები მუშაობის გასაუმჯობესებლად - საინფორმაციო ბიულეტენის ბოლოს მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე.

ვსარგებლობთ რა ამ შესაძლებლობით, პროექტ ENIGMMA-ს გუნდს სურს, მადლობა გადაგიხადოთ დაინტერესების, თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის 2015 წლის განმავლობაში, გისურვოთ მშვიდობიანი და სასიამოვნო დასვენება და ბედნიერი 2016 წელი.

ICMPD ENIGMMA-ს პროექტის გუნდი

ამ გამოცემაში წარმოდგენილი იქნება

ახალი ამბები:

- ინტერვიუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან, ქ-ნ თამარ ქალდანთან.

მიგრაციის საინფორმაციო ბიულეტენის რეგულარული რუბრიკები:

- საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები;
- სიახლეები საქართველოში მიგრაციის მართვის შესახებ;
- საქართველოსა და ICMPD/ENIGMMA-ს თანამშრომლობის ძირითადი მიღწევები 2015 წლის განმავლობაში;
- პროექტ ENIGMMA-ს მიერ დაგეგმილი საქმიანობები;
- ვინ ვინ არის? პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი.

ინტერვიუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან, ქ-ნ თამარ ქალდანთან

ENIGMMA: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი შედარებით ახალი ჩამოყალიბებულია. რა საჭიროებებმა განაპირობა ამ ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობა?

თამარ ქალდანი: კონფიდენციალობის დაცვა თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი გამოწვევაა. საჯარო თუ კერძო ორგანიზაციები დიდი რაოდენობით პერსონალურ მონაცემს მართავენ. ამ მონაცემთა გაცვლა მათ მაკონტროლებელთა შორის მარტივი პროცესია და, შესაბამისად, ისინი იოლად ხელმისაწვდომია მესამე პირთათვის. გარდა ამისა, როგორც კი ამგვარი ინფორმაცია გამჟღავნდება და გავრცელდება ინტერნეტით, მიღებული შედეგების კონტროლი რთულია. ევროკავშირის წევრი ქვეყნები ამ საკითხების გადაჭრას შესაბამისი კანონმდებლობის მიღებითა და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობით გეგმავენ. საქართველოც მიჰყვება ამ მაგალითს. თუმცა, მხოლოდ შესაბამისი რეგულაციების მიღება შესაძლოა არ იყოს ეფექტიანი მათი დანერგვის მექანიზმების გარეშე. ამიტომაც, ისეთი ზედამხედველობითი ორგანოს ჩამოყალიბება, როგორიცაა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი - რომლის კომპეტენციაშიც შედის მონაცემთა დამუშავების ლეგიტიმურობის მონიტორინგი - კონფიდენციალობის დაცვის საუკეთესო მექანიზმია.

მაღზე მნიშვნელოვანია, არსებობდეს საჯარო დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მონაცემების მაკონტროლებელთა ზედამხედველობაზე, სუბიექტის უფლებების შესახებ ინფორმაციის დაცვაზე და მონაცემთა დაცვასთან მიმართებით ცნობიერების ამაღლებაზე. გარდა ამისა, ასეთი ორგანოს ჩამოყალიბება პასუხობს საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე ნაკისრ ვალდებულებებს, როგორიცაა ევროსაბჭოს (CoE) 108-ე კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა (VLAP) და საქართველო-ევროკავშირის შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება.



გაგრძელება 3-ე გვერდზე

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები

ევროკავშირის ანგარიში ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესახებ

18 დეკემბერს ევროკომისიამ გამოსცა მეოთხე და საბოლოო ანგარიში საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე. ანგარიში პოზიტიური იყო საქართველოსთვის და მისი მოქალაქეების შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმით მიმოსვლის იმედს იძლეოდა.

ანგარიშის ბოლო, დასკვნითი პარაგრაფი იუწყება:

„კომისია მიიჩნევს, რომ საქართველო აკმაყოფილებს ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზით განსაზღვრულ ოთხი მიმართულებით დათქმულ ნიშნულებს. ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობათა გათვალისწინებით, კომისია 2016 წლის დასაწყისში წარადგენს საკანონმდებლო წინადადებას (EC) 539/2001 რეგულაციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.“



დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



აქ წარმოდგენილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს